არასამთავრობო ორგანიზაციათა მიმართვა

ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალურ ინიციატივას საქართველო 2011 წლის სექტემბერს შეუერთდა და მას შემდეგ, საქართველოს მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური თანამშრომლობით, ჩვენმა ქვეყანამ უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა OGP-ს მიზნების მიღწევის გზაზე. საქართველო ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს OGP-ს ფარგლებში განხორციელებული ვალდებულებების თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოდელად, რასაც მოწმობს საქართველოს OGP ,,ნათელი წერტილის" ნომინაციაში ფინალისტ სახელმწიფოდ დასახელება 2013 წლის ლონდონის სამიტზე. მიუხედავად ამისა, ღია მმართველობის პარტნიორობის დეკლარირებული პრინციპების განსავითარებლად ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი და სწორედ ამას ემსახურება საქართველოს 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმა, რომელიც ფართო საზოგადოებრივი აქტიური ჩართულობით იქნა შემუშავებული.

აღსანიშნავია, რომ 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა უფრო გაფართოებული ფორმატითაა წარმოდგენილი და მასში გაცილებით მეტი სახელმწიფო უწყების ვალდებულებაა შესული, ვიდრე წინა წლების სამოქმედო გეგმაში. ამბიციურ სამოქმედო გეგმაში ასახულია სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები უმეტესი ნაწილი და ის მოიცავს მათ შორის ისეთი მნიშვნელოვან საკითხებს როგორცაა: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, კორუფციასთან ბრძოლისა და გამჭვირვალობის მექანიზმების დანერგვა, საჯარო მომსახურების გაუმჯობესება და საზოგადოების იდეებისა და პრობლემებისადმი რეაგირების ეფექტური პლატფორმების შემუშავება და სხვა საკითხები. განსაკუთრებით მისასალმებელია OGP-ს საქმიანობაში საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ჩართულობა, რაც საქართველოს სამოქმედო გეგმას კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს ანიჭებს.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხელისუფლების გამჭირვალეობა ხელს უწყობს მთავრობის საქმიანობის შესახებ მოქალაქეების ინფორმირების დონის ზრდას და შესაბამისად, მთავრობის ანგარიშვალდებულებას, ხოლო ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა. საზოგადოების ჩართულობა ამაღლებს ხელისუფლების საქმიანობის ეფექტურობას და აუმჯობესებს გადაწყვეტილებების ხარისხს. მისასალმებელია, რომ საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, ხელისუფლებამ გაითვალისწინა ეს გარემოებები და გახსნა სივრცე საზოგადოების უფრო ფართო მონაწილეობისთვის. „ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის" რეგულარული შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობდნენ ხელისუფლების, საზოგადოებრივი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო ამ პროცესის ხელშეწყობისთვის და წარმატებული განვითარებისთვის.

მისასალმებელი იყო, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა საჯარო კონსულტაციები სამოქმედო გეგმის სრულყოფისა და მოქალაქეთა მეტი ინფორმირების მიზნით. შეხვედრები მიზანად ისახავდა საზოგადოების ჩართულობის გაზრდას, მოსახლეობისგან მოსაზრებებისა და იდეების შეკრებას, რათა სამოქმედო გეგმა და მის ფარგლებში აღებული სამთავრობო ვალდებულებები პასუხობდეს მოქალაქეთა საჭიროებებს და პრიორიტეტებს.

ამავე დროს ვფიქრობთ, რომ ახალი სამოქმედო გეგმის განხორციელების წარმატებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე უზრუნველყოს საჯარო დაწესებულებებისა და საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. მხოლოდ მთავრობისა და დაინტერესებული საზოგადოების ეფექტური თანამშრომლობით, აგრეთვე მოსახლეობის ინფორმირებულობით და უშუალო მონაწილეობით გახდება შესაძლებელი ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული უმნიშვნელოვანესი ამბიციური ვალდებულებების წარმატებით შესრულება.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრი ორგანიზაციების სახელით,

გიორგი კლდიაშვილი

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის თანამომხსენებელი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი